



მე-3 კლასტერი: სამოქალაქო უსაფრთხოება საზოგადოებისათვის

2026 წლის კონკურსები

Call - Civil Security for Society 2026
HORIZON-CL3-2026-01

თამარ ბერბერაშვილი
ეროვნული საკონტაქტო პირი
ჰორიზონტი ევროპა საქართველოს ეროვნული ოფისი

დაწყება: 6 მაისი,

დასრულება: 5 ნოემბერი



1. მოქალაქეების უკეთ დაცვა დანაშაულისა და ტერორიზმისგან (FCT) - 6 საკონკურსო თემა
2. სახელმწიფო საზღვრების ეფექტური მართვა (BM) - 3 საკონკურსო თემა
3. მდგრადი ინფრასტრუქტურა (INFRA) - 3 საკონკურსო თემა
4. კატასტროფებისადმი მდგრადი საზოგადოება (DRS) - 5 საკონკურსო თემა
5. უსაფრთხოების გაძლიერებული კვლევა და ინოვაცია (SSRI) - 4 საკონკურსო თემა

სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობების გაუმჯობესება კლიმატთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად

პოლიცია მზად უნდა იყოს არა მხოლოდ სტიქიური უბედურებებისთვის, არამედ იმ ახალი დანაშაულებრივი სქემებისთვის, რომლებიც რესურსების დეფიციტს მოჰყვება.

მოსალოდნელი შედეგები

- პოლიციური ძალები აღჭურვილნი არიან ტექნოლოგიებითა და ცოდნით, რომ ებრძოლონ კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ახალ კრიმინალურ სქემებს.
- გადაწყვეტილების მიმღებ პირებს აქვთ ცოდნა იმისა, თუ როგორ აისახება ეკოლოგიური კრიზისი უსაფრთხოებაზე.
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ახალი მიდგომები, რომლებიც ითვალისწინებენ კლიმატის მიგრაციასა და რადიკალიზაციის ახალ ფორმებს.

პირობები:

- ⚙️ RIA
- 💰 8 მლნ € (2 პროექტი)
- 🚀 უნდა მიაღწიოს TRL 5 დონეს

მონაწილეები:

- 👥 მინიმუმ 2 სამართალდამცავი ორგანოს მონაწილეობა ევროკავშირის მინიმუმ 2 სხვადასხვა წევრი ან ასოცირებული ქვეყნიდან.
- SSH ექსპერტები.
- თანამშრომლობა Europol-ის ინოვაციების ლაბორატორიასთან ვალიდაციისთვის და CEPOL-თან ტრენინგებისთვის.

შინაარსი:

პროექტმა უნდა გააანალიზოს კლიმატის ცვლილებასა და ორგანიზებულ დანაშაულს შორის არსებული კავშირი რამდენიმე მიმართულებით:

- **დეფიციტური ბაზრები:** კრიმინალური ჯგუფები შეეცდებიან დაეუფლონ ისეთ რესურსებს, როგორცაა წყალი და საკვები, და აკონტროლონ მათი განაწილება.
- **გარემოსდაცვითი დანაშაული:** უკანონო მოპოვება, ტყის ჩეხვა, ნარჩენების მართვა და ცხოველებით ვაჭრობა.
- **ტრეფიკინგი და მიგრაცია:** ექსტრემალური ამინდი ზრდის მიგრაციულ ნაკადებს, რაც ქმნის ნოყიერ ნიადაგს ადამიანებით ვაჭრობისა და ექსპლუატაციისთვის.
- **სოციალური დაძაბულობა:** რადიკალიზაციის ახალი ფორმები, ტერორიზმი და საზოგადოებრივი არეულობა, გამოწვეული რესურსების დაკარგვით ან გადასახლებით

HORIZON-CL3-2026-01-FCT-02: Open topic on preventing and countering the misuse of emerging technologies for criminal purposes, including issues related to lawful access to data

ღია თემა - სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება ახალი და განვითარებადი ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ

კრიმინალები ხშირად უფრო სწრაფად ითვისებენ სიახლეებს (გენერაციული AI, კვანტური ტექნოლოგიები, ახალი ბიომეტრია), ვიდრე სამართალდამცავი სისტემები. ეს თემა მიზნად ისახავს ამ ბალანსის აღდგენას.

მოსალოდნელი შედეგები

- პოლიცია იღებს ვალიდირებულ ინსტრუმენტებსა და სასწავლო კურიკულუმებს ახალ ტექნოლოგიებთან საბრძოლველად.
- ინტერდისციპლინური კოლაბორაცია ტექნოლოგებს, პოლიტიკის შემქმნელებსა და პოლიციას შორის.
- მკაფიო გაიდლაინები მონაცემებზე კანონიერი წვდომისთვის, რაც აბალანსებს უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებებს.

შინაარსი:

„ღია თემის“ ფარგლებში, წინადადებამ უნდა განიხილოს ის ტექნოლოგიები, რომლებიც არ იყო დაფარული წინა კონკურსებით.

კვლევითი აქტივობები უნდა მოიცავდეს:

- **პრაქტიკული ინსტრუმენტების შექმნა:** მეთოდოლოგიები და ტრენინგები პოლიციისთვის (მაგ. როგორ ებრძოლონ Deepfake-ებს ან კვანტურ კრიპტოგრაფიას კრიმინალში).
- **მონაცემებზე კანონიერი წვდომის** სამართლებრივი და ტექნიკური საკითხების მოგვარებას.

პირობები

RIA

9 მლნ € (2 პროექტი)

უნდა მიაღწიოს TRL 5 დონეს

გაითვალისწინეთ:

მინიმუმ 2 სამართალდამცავი ორგანოს მონაწილეობა ევროკავშირის მინიმუმ 2 სხვადასხვა წევრი ან ასოცირებული ქვეყნიდან.

თანამშრომლობა **Europol-ის ინოვაციების ლაბორატორიასთან** ვალიდაციისთვის, **CEPOL-თან** ტრენინგებისთვის და ევროკავშირის ნარკოტიკების სააგენტოსთან (EUDA).

უგზო-უკვლოდ დაკარგული პირები: პრევენცია და გამოძიება


მოსალოდნელი შედეგები

- სამართალდამცავი ორგანოებისა და არასამთავრობო სექტორისთვის გაუმჯობესებული უნარების, ინსტრუმენტებისა და სასწავლო პროგრამების შექმნა რისკ-ჯგუფებთან მუშაობისა და გაუჩინარების პრევენციისთვის.
- გამოძიების გაუმჯობესებული მეთოდოლოგიები გაუხსნელი/ძველი საქმეების გამოსააშკარავებლად გამოსაძიებლად, თანამედროვე კრიმინალისტიკური ტექნოლოგიების საფუძველზე.
- ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაძლიერება და ახალი შემთხვევების ოპერატიული გამოძიების მეთოდების დანერგვა.
- უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საკითხზე ერთიანი ევროპული მიდგომის ჩამოყალიბება, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიებს, სოციალურ-ფსიქოლოგიურ ცოდნასა და საველე გამოცდილებას.


შინაარსი:

- გაუხსნელი/ძველი საქმეების გამოსააშკარავებლად საჭიროა ახალი ტექნოლოგიები, როგორცაა: ძველი დნმ-ის ნიმუშების ანალიზი, სახის ასაკობრივი ცვლილების ზუსტი სიმულაცია და ციფრული ფოტო-ვიდეო ექსპერტიზა.
- ცნობიერების ამაღლების კამპანიები და მუშაობა ოჯახის წევრებთან, რაც ითვალისწინებს მულტიკულტურულ და გენდერულ ასპექტებს.
- უსაფრთხო და კონფიდენციალური პლატფორმების შექმნა სენსიტიური ინფორმაციის გასაზიარებლად სხვადასხვა უწყებას შორის.


პირობები

 IA

€ 5 მლნ € (1 პროექტი)

 უნდა მიაღწიოს **TRL 5** დონეს

გაითვალისწინეთ:

 მინიმუმ **3** სამართალდამცავი ორგანოს და მინიმუმ **2** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის მონაწილეობა 3 სხვადასხვა წევრი/ასოცირებული ქვეყნიდან.

თანამშრომლობა **Europol-ის** ინოვაციების ლაბორატორიასთან ვალიდაციისთვის, **CEPOL-თან** ტრენინგებისთვის.

თუ თემა ეხება კრიმინალისტიკას, კონსორციუმში აუცილებლად უნდა იყვნენ ჩართულნი კრიმინალისტიკური ინსტიტუტები.

პროექტში ჩართული პრაქტიკოსები (სამართალდამცავი ორგანოები) შეაფასებენ მიღწეულ შედეგებს.

დანაშაულის პრევენციის ონლაინ და ოფლაინ სივრცეში მიდგომები: დამოკიდებულებებსა და კრიმინალს შორის არსებული ურთიერთკავშირის დაძლევა

საკონკურსო თემა მოითხოვს ფსიქოლოგების, სოციოლოგებისა და სამართალდამცავი ორგანოების მჭიდრო კოორდინაციას.

მოსალოდნელი შედეგები

- დამოკიდებულებებსა და დანაშაულს შორის არსებული კავშირებისა და კრიმინალის გამომწვევი ფაქტორების უკეთ გააზრება.
- ინოვაციური და ეფექტური გადაწყვეტილებების (მათ შორის სასწავლო პროგრამების) შემუშავება სამართალდამცავი ორგანოებისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული დამოკიდებულებები და მათთან დაკავშირებული დანაშაული.
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული მხარდაჭერა ევროპული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მოდერნიზებისთვის.
- თანამშრომლობის ახალი მოდელების შექმნა სამართალდამცავი ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თემების მდგრადობისა და უსაფრთხოების გასაზრდელად.

შინაარსი:

კავშირი სხვადასხვა სახის დამოკიდებულებას (აზარტული თამაშები, ნარკოტიკების ან ალკოჰოლის მოხმარება) და დანაშაულს შორის, როგორც ფიზიკურ, ისე ონლაინ სივრცეში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ გზას, რომლითაც ახალგაზრდა გადადის მცირე დანაშაულიდან (დამოკიდებულების გამო) ორგანიზებულ კრიმინალში ჩართულობამდე.

კვლევა უნდა აერთიანებდეს SSH და ტექნოლოგიურ აპლიკაციებს.

პირობები

RIA

€ 6 მლნ € (2 პროექტი)

უნდა მიაღწიოს TRL 5 დონეს

გაითვალისწინეთ: მინიმუმ 2 სამართალდამცავი ორგანოს და მინიმუმ 2 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის მონაწილეობა 3 სხვადასხვა წევრი/ასოცირებული ქვეყნიდან.

თანამშრომლობა ევროკავშირის ნარკოტიკების სააგენტოსთან შედეგების ვალიდაციისთვის, **CEPOL**-თან ტრენინგებისთვის.

HORIZON-CL3-2026-01-FCT-05: Enhancing the security of citizens against terrorism and lone-actor violence in confined spaces such as schools

მოქალაქეთა უსაფრთხოების გაძლიერება ტერორიზმისა და ცალკეული პირების მიერ დახურულ სივრცეებში, მათ შორის სკოლებში, განხორციელებული ძალადობის წინააღმდეგ

მოსალოდნელი შედეგები

- პოლიტიკის შემქმნელებისა და სამართალდამცავების მიერ ტერორიზმისა და ცალკეული პირების ძალადობის ფენომენის უკეთ გააზრება ევროპულ კონტექსტში.
- დახურულ სივრცეებში (სკოლები, სალოცავები, საჯარო შენობები) თავდასხმების პრევენცია იზოლაციისა და რადიკალიზაციის ადრეული ნიშნების გამოვლენის გზით.
- სკოლებისა და საჯარო შენობების აღჭურვა უსაფრთხოების უახლესი, თანამედროვე საშუალებებით.
- სამართალდამცავი ორგანოებისა და დაწესებულებების პერსონალს (მასწავლებლები, ადმინისტრაცია) შორის კოორდინაციის გაუმჯობესება.

შინაარსი: დახურულ სივრცეებში უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

- ✓ მეთოდოლოგიების შემუშავება რადიკალიზაციისა და სოციალური იზოლაციის ადრეული ნიშნების ამოსაცნობად.
- ✓ ტრენინგებისა და საინფორმაციო პროგრამების შექმნა სკოლის პერსონალისა და საჯარო მოხელეებისთვის. შემოთავაზებული გადაწყვეტები უნდა იყოს ფინანსურად ხელმისაწვდომი საჯარო სკოლებისა და სხვა ბიუჯეტური დაწესებულებებისთვის.
- ✓ ჩართული უნდა იყვნენ პოლიციელები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები და IT სპეციალისტები.

პირობები

IA

€ 9.67 მლნ € (2 პროექტი)

უნდა მიაღწიოს TRL 6-8 დონეს

გაითვალისწინეთ:

მინიმუმ 3

სამართალდამცავი ორგანოს და მინიმუმ 2 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის მონაწილეობა 3 სხვადასხვა წევრი/ასოცირებული ქვეყნიდან.

პროექტში ჩართული პრაქტიკოსები (სამართალდამცავი ორგანოები) შეაფასებენ მიღწეულ შედეგებს.

არ უნდა მოხდეს წინა წლების კვლევების დუბლირება.

ბიოტერორიზმის მიზნით სინთეზური ბიოლოგიის ბოროტად გამოყენების პრევენცია და რისკების შემცირება



მოსალოდნელი შედეგები

- პოლიტიკის შემქმნელების, კვლევითი საზოგადოების, ბიოტექნოლოგიური კომპანიებისა და უსაფრთხოების სფეროს შესაბამისი სპეციალისტების ცნობიერების ამაღლება ბიოტერორიზმისა და სინთეზური ბიოლოგიის საფრთხეების შესახებ..
- იმ სფეროების სამართლებრივი ანალიზი, რომლებიც საჭიროებენ მონიტორინგს და რეგულირებას საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნით.
- შესაბამის სამეცნიერო საზოგადოებაში ინფორმირებულობის გაზრდა იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება იქნას გამოყენებული სინთეზური ბიოლოგიის სფეროში ჩატარებული კვლევები ბოროტგანზრახული მიზნებისთვის.



შინაარსი: მიზანი: ბიოტერორიზმის პრევენცია.

- მზარდი საფრთხე განპირობებულია მეცნიერული მიღწევებით, მათ შორის სინთეზური ბიოლოგიის (ქმნის ან გარდაქმნის ბიოლოგიურ სისტემებს: გენებს, უჯრედებს, ორგანიზმებს), გენური ინჟინერიისა და საჯარო მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობით.
- პროექტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს შემდეგი აქტივობები:
- არსებული და მომავალი რისკების მიმოხილვა.
 - იმ სფეროების იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროებენ გაძლიერებულ მონიტორინგს.
 - საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.



პირობები



RIA,

€ 3 მლნ € (1პროექტი)

უნდა მიაღწიოს TRL 4-5 დონეს

სასაზღვრო და საბაჟო სამსახურები; ანტიტერორისტული და კიბერდანაშაულის განყოფილებები. უნივერსიტეტები და კვლევითი ინსტიტუტები: ბიოტექნოლოგიის, გენეტიკური ინჟინერიის, ვირუსოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის მიმართულებით. ბიოეთიკის სპეციალისტები; AI ექსპერტები; ბიოტექნოლოგიური კომპანიები (დანერგვისთვის). IT და კიბერუსაფრთხოების კომპანიები. დრონების მწარმოებელი კომპანიები. სამთავრობო უწყებები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ჯანდაცვისა და უსაფრთხოების რეგულაციებზე.

საზღვრის მოწინავე ზედამხედველობა და სიტუაციური ინფორმირებულობა

თემა ეხება ტექნოლოგიურ გადაწყვეტებს ევროკავშირის საგარეო საზღვრების დასაცავად უკანონო მიგრაციისა და კონტრაბანდისგან.

მოსალოდნელი შედეგები:

- უპილოტო საფრენი აპარატების უკეთესი აღმოჩენა და ნეიტრალიზება, რომლებიც ჩართულნი არიან კონტრაბანდაში საზღვარზე.
- საზღვრისპირა სიტუაციური ინფორმირებულობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით მიგრაციული ნაკადების მართვისა და კონფლიქტების ფონზე.
- ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის გაძლიერება უსაფრთხოებისა და ზედამხედველობის გაუმჯობესებული შესაძლებლობების მეშვეობით.
- საზღვარზე რეაგირების საიმედო შესაძლებლობების შექმნა პერსონალისა და საზოგადოების რისკის ქვეშ დაყენების გარეშე.

შინაარსი:



- ✓ აუცილებელია სისტემების ინტეგრაცია **EUROSUR**-თან (ევროპული სასაზღვრო ზედამხედველობის სისტემა) და **CISE**-თან (საერთო საინფორმაციო გარემო).
- ✓ ტექნოლოგიებმა ხელი უნდა შეუწყოს ხარჯების შემცირებას და ენერგოეფექტურობას.
- ✓ პროექტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს (**Frontex**) პრიორიტეტებსა და შესაძლებლობების საგზაო რუკას (**EBCG Capability Roadmap**).

 **პირობები**

 IA

 12 მლნ € (2 პროექტი)

 უნდა მიაღწიოს TRL 6-7.

 **გაითვალისწინეთ:** 

მინიმუმ 2 სასაზღვრო ან სანაპირო დაცვის ორგანოს მონაწილეობა ევროკავშირის მინიმუმ 2 სხვადასხვა წევრი ან ასოცირებული ქვეყნიდან.

პრაქტიკოსების (მესაზღვრეები) ჩართვა, რომლებიც შეაფასებენ მიღწეულ შედეგებს.

ხელმისაწვდომი და გამარტივებული მგზავრობის უზრუნველყოფა

მოგზაურობის მაქსიმალურ გამარტივება თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით, ისე, რომ დაცული იყოს უსაფრთხოება და ყველასთვის თანაბარი ხელმისაწვდომობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- საზღვრის კვეთის პროცედურების (მათ შორის ვიზის მიღების) გაუმჯობესება ავტომატიზებული, შეუფერხებელი და უსაფრთხო სისტემების მეშვეობით.
- ციფრული უთანასწორობის მინიმუმამდე დაყვანა და სისტემების ხელმისაწვდომობის გაზრდა ყველა კატეგორიის მოგზაურისთვის.
- უნივერსალური გადაწყვეტების შექმნა, რომლებიც ადაპტირებადი იქნება ევროპის ყველა სასაზღვრო გამშვები პუნქტისთვის.
- მესაზღვრეების სამუშაო დატვირთვის შემცირება, მათი უსაფრთხოების და საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა.




შინაარსი: კვლევის ძირითადი საკითხები:

საზღვრის კვეთა უნდა იყოს მაქსიმალურად სწრაფი და მარტივი კეთილსინდისიერი მოგზაურებისთვის, ასაკის, სქესის, ფიზიკური თუ ციფრული შესაძლებლობების მიუხედავად. ინოვაციური ინსტრუმენტები, რომლებიც მესაზღვრეებს დაეხმარება სწორი პროცედურის ან მონაცემთა ბაზის შერჩევაში უფლებების დარღვევის გარეშე.

ბიომეტრიული იდენტიფიკაციის გაუმჯობესება ისე, რომ მოხდეს მინიმალური მონაცემების გაზიარება.

პროექტები უნდა შეესაბამებოდეს **Frontex**-ისა და **eu-LISA**-ს პრიორიტეტებს.

 **პირობები**

-  IA
-  8 მლნ € (2 პროექტი)
-  უნდა მიაღწიოს TRL 6-7.

გაითვალისწინეთ: 

მინიმუმ 2 სასაზღვრო ან სანაპირო დაცვის ორგანოს მონაწილეობა ევროკავშირის მინიმუმ 2 სხვადასხვა წევრი ქვეყნიდან.

პრაქტიკოსების (მესაზღვრეები) ჩართვა, რომლებიც შეაფასებენ მიღწეულ შედეგებს.

ასაკის შეფასების მეთოდების საიმედოობა უსაფრთხოებისა და საზღვრის მართვის კონტექსტში

- მოსალოდნელი შედეგები:**
- არასრულწლოვანთა უსაფრთხოების გაძლიერება ასაკის დადგენის **ზუსტი მეთოდების** დანერგვითა და **ფიზიკური ჩარევის პროცედურების** მინიმუმამდე შემცირებით
 - **სახელმწიფო უწყებების** მომზადება და **თანამშრომლობა** ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში.
 - **ევროპული ცოდნის ბაზის** გაფართოება ასაკის შეფასების მეთოდების სიზუსტისა და ეფექტურობის შესახებ.

შინაარსი: ევროკავშირის საზღვარზე ბევრ თანმხლები პირის გარეშე მყოფ ბავშვსა და ახალგაზრდას არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

ასაკის სწორად განსაზღვრა კრიტიკულია. ევროკავშირის რეგულაციების თანახმად, **ფსიქოლოგიური ინტერვიუები, სამედიცინო მეთოდები და გამოსახულების ანალიზი AI-ის გამოყენებით უნდა იყოს უკიდურესი ზომა.** პროექტმა უნდა შეისწავლოს, როგორ შემცირდეს მათი გამოყენება.

კვლევამ უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციები ასაკის შეფასების უფრო ჰუმანური და **ზუსტი** მოდელებისთვის.

პროექტის მიზანი: **არსებული მეთოდების შეფასება** მათი მეცნიერული საიმედოობის, სენსიტიურობისა და ფუნდამენტური უფლებების რისკების მიხედვით.

პირობები
CSA
€ 1.33 მლნ (1 პროექტი)

გაითვალისწინეთ:

მინიმუმ **2 სასაზღვრო ან საინჟინერო დაცვის ორგანოს** მონაწილეობა ევროკავშირის მინიმუმ **2 სხვადასხვა წევრი** სახელმწიფოდან.

კრიტიკული ინფრასტრუქტურის სტრეს-ტესტების მხარდამჭერი ინსტრუმენტები და პროცესები

კრიტიკული ინფრასტრუქტურა (ენერგეტიკა, ტრანსპორტი, წყალმომარაგება) სულ უფრო კომპლექსური და ურთიერთდამოკიდებული ხდება. პროექტის მიზანია შეიქმნას მეთოდოლოგიები, რომლებიც ამ სისტემებს „გამძლეობაზე“ შეამოწმებს სხვადასხვა საფრთხის პირობებში (კიბერშეტევა, ფიზიკური თავდასხმა, ბუნებრივი კატასტროფა).

მოსალოდნელი შედეგები:

- ოპერატორებისა და სახელმწიფო უწყებებისთვის ვირტუალური და ფიზიკური სტრეს-ტესტების ჩასატარებელი ეფექტური ინსტრუმენტები.
- ტექნიკური და ოპერატიული სუსტი წერტილების სიღრმისეული გააზრება.
- სტრესულ პირობებში კოლაბორაციისა და შეტყობინების სისტემების ხელმისაწვდომობა.
- ინციდენტის შემდგომი გამოძიების, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის გაუმჯობესებული შესაძლებლობები.

შინაარსი: შემოთავაზებული გადაწყვეტები შეიძლება მოიცავდეს:

- **სიმულაცია და მოდელირება:** მრავალმხრივი საფრთხის სცენარების აგება.
- **ინფრასტრუქტურის ვირტუალური ასლების (Digital Twins) შექმნა,** სადაც შესაძლებელი იქნება „ავარიული“ სცენარების უსაფრთხოდ გათამაშება.
- **მონაცემთა ანალიტიკა:** გეოსივრცული ინფორმაციის გამოყენება რისკების შესაფასებლად.
ადამიანური ფაქტორი: იმის გათვალისწინება, თუ როგორ რეაგირებს პერსონალი სტრესულ სიტუაციაში.
- **„სტრეს-ტესტი“** - სისტემის შემოწმება უკიდურესად დამაბულ ან კრიტიკულ პირობებში მისი გამძლეობის დასადგენად.

პირობები

🔧 IA.
💰 9.67 მლნ €
(2 პროექტი)
🚀 უნდა მიაღწიოს TRL 6-7

გაითვალისწინეთ:


👤 **პრაქტიკოსები:** (მინ. 3)
ინფრასტრუქტურის ოპერატორები, სამოქალაქო უსაფრთხოების უწყებები, სამართალდამცავი ორგანოები ან კერძო დაცვის კომპანიები ევროკავშირის წევრი/ასოცირებული ქვეყნებიდან.

მწვანე გარდამავალი პროცესის უსაფრთხოების გამოწვევები ურბანულ და პერი-ურბანულ ზონებში

თემა ეხება „მწვანე გარდამავალი პროცესის“ (ეკონომიკის ტრანსფორმაცია ეკოლოგიურად სუფთა მოდელზე) თანმდევ უსაფრთხოების გამოწვევებს (ხანძარი, კიბერშეტევები) ქალაქის და ქალაქისპირა ზონებში.

 **მოსალოდნელი შედეგები:**

- იმ ახალი უსაფრთხოების რისკების იდენტიფიცირება, რომლებიც თან ახლავს მწვანე ტექნოლოგიების (მზის პანელები, ელექტროდამტენები და ა.შ.) მასობრივ დანერგვას.
- ინოვაციური ინსტრუმენტები ურბანულ გარემოში მომხდარი ცვლილებების გასაზომად.
- მწვანე ტექნოლოგიების მიწოდების ჯაჭვების უსაფრთხოების ანალიზი და ევროპის სტრატეგიული ავტონომიის გაძლიერება.
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება მწვანე ტექნოლოგიების უსაფრთხოების ასპექტებზე, რათა გაიზარდოს მათი მიღება საზოგადოების მხრიდან.

 **შინაარსი:** კვლევის ძირითადი მიმართულებები:

- ფიზიკური და კიბერ რისკები: ბატარეების აალება, ტოქსიკური გაჟონვა, ელექტროშოკი, მონაცემთა კონფიდენციალურობა და სტრუქტურული მდგრადობა.
- სისტემებზე არასანქცირებული წვდომა, პროგრამული მანიპულაციები ან ჰიბრიდული შეტევები მწვანე ინფრასტრუქტურაზე.
- ოპერატორებისა და პირველი რეაგირების ჯგუფების აღჭურვა მეთოდოლოგიებით, რომ მათ შეძლონ ინციდენტების პრევენცია და სწრაფი აღდგენა.

მაგ.: მწვანე სახურავები და კედლები (ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება).

ელექტრომობილების დამტენი სადგურების ქსელები (კიბერუსაფრთხოება).


ენერჯის შემნახველი სისტემები/ბატარეები (ქიმიური და თერმული საფრთხეები).

ჰკვიანი სენსორები და სათვალთვალო სისტემები.



პირობები

 RIA.

 4 მლნ €

(1 პროექტი)

 უნდა მიაღწიოს TRL 5-ს



მონაწილეები: 

პროექტკოსები (მინ. 3):

ოპერატორები, მაშველები, უსაფრთხოების უწყებები. ქალაქის მმართველობის ორგანოები.

კიბერუსაფრთხოებისა და „მწვანე“ ტექნოლოგიების მომწოდებლები.

მიზნობრივი ინოვაციური შესაძლებლობები კრიტიკული ობიექტების მედეგობისთვის ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფების, მათ შორის ჰიბრიდული სცენარების მიმართ



მოსალოდნელი შედეგები:

- კრიტიკული ობიექტების სისტემური მოწყვლადობის (ფიზიკური, ციფრული, საოპერაციო) უკეთესი გააზრება.
- **NaTech** რისკების საწინააღმდეგო არსებული ზომების დადასტურება.
- მოწინავე ტექნოლოგიური გადაწყვეტების დემონსტრირება კასკადური და ჰიბრიდული კატასტროფების მართვისთვის.
- ერთიანი პლატფორმების შექმნა რისკების დინამიური შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერისთვის.
- ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაძლიერება საგანგებო სიტუაციების მართვისა და სერვისების უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით.



შინაარსი:

ბუნებრივი მოვლენები (წყალდიდობა, მიწისძვრა) ხშირად იწვევს ბუნებრივი საფრთხით გამოწვეულ ტექნოლოგიურ ავარიებს (**NaTech**), რაც კასკადურ რეაქციას (როცა ერთი ობიექტის დაზიანება იწვევს სხვების გათიშვას) ქმნის.

სექტორული გადაწყვეტები: გადასვლა ზოგადი მოდელებიდან სექტორზე მორგებულ, მოდულურ ტექნოლოგიურ გადაწყვეტებზე. **კასკადური რისკები:** იმ წერტილების იდენტიფიცირება, სადაც ერთი დარღვევა იწვევს სხვა სექტორების პარალიზებას.

რეალური დემონსტრირება: გადაწყვეტების გამოცდა სიმულაციების ან რეალური ოპერაციული გარემოს მეშვეობით.

სიტუაციური ინფორმირებულობა: დინამიური რეაგირების ინსტრუმენტების შექმნა, რომლებიც კრიზისის დროს სერვისების უწყვეტობას შეინარჩუნებენ.



პირობები

- **IA.**
- **9 მლნ € (2 პროექტი)**
- უნდა მიაღწიოს **TRL 6-7-ს**



მონაწილეები:

პრაქტიკოსები (მინიმუმ 3): ოპერატორები, მედეგობაზე პასუხისმგებელი უწყებები, მესაზღვრეები/მაშველები, NaTech მართვის ორგანოები).



მიზნობრივი ინოვაციური შესაძლებლობები - კონკრეტულ სუსტ წერტილებზე ორიენტირებული ტექნოლოგიები.

ჰიბრიდული სცენარები - ბუნებრივი და ადამიანური/კიბერ საფრთხეების ერთობლიობა.



მოსალოდნელი შედეგები:

- საზოგადოებაში რისკების აღქმის გაუმჯობესება თანამედროვე ტექნოლოგიების (მაგ. ციფრული პლატფორმები, იმერსიული ტექნოლოგიები - VR/AR) გამოყენებით.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მარგინალიზებულ და მოწყვლად ჯგუფებს (შშმ პირები, გენდერული ასპექტები და სხვა).
- ყოვლისმომცველი მზადყოფნის გეგმების შექმნა, რომელიც მოიცავს ყველა სექტორს (სახელმწიფო, კერძო, სამოქალაქო) — "ადრეული შეტყობინებიდან ადრეულ მოქმედებამდე".
- მართვისა და კონტროლის სისტემების ინტეგრაცია მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად.



შინაარსი: თემის მთავარი ფოკუსი არა მხოლოდ ტექნოლოგია, არამედ ადამიანური ქცევა, ფსიქოლოგია და სოციალური მზადყოფნაა.

პროექტის საკითხები:

- ✓ რისკის აღქმის ანალიზი სხვადასხვა სოციალური ჯგუფები მიერ.
- ✓ რისკების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ახალი გზები.
- ✓ მოქალაქეების ჩართვა „პირველი რეაგირების“ პროცესში და თვითდახმარების უნარების განვითარება.
- ✓ ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენება, რომ ადამიანებმა წინასწარ დაიჭიროთ თადარიგი.



პირობები

- RIA.
- € 6 მლნ
- (2 პროექტი)
- უნდა მიაღწიოს TRL 5-ს



მონაწილეები:

პროაქტივოსი (მინ.3):
 სამოქალაქო უსაფრთხოების უწყებები; ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლება; პირველი რეაგირების ორგანიზაციები (წითელი ჯვარი, სახანძრო-სამაშველო სამსახური), ფსიქოლოგები და სოციოლოგები, კომუნიკაციის ექსპერტები, განათლების სპეციალისტები, დეველოპერები, მონაცემთა ანალიტიკოსები, სამოქალაქო საზოგადოება.

მრავალმხრივი საფრთხის მიდგომა და კუმულაციური*/კასკადური ზემოქმედება

მოსალოდნელი შედეგები:

- მრავალმხრივი პროგნოზირების მოდელები: ერთ სისტემაში ინტეგრირებული მეტეოროლოგიური, გეოფიზიკური და ტექნოლოგიური საფრთხეები.
- კასკადური ეფექტების ანალიზი: მაგალითად, როგორ იწვევს ძლიერი წვიმა მეწყერს, რასაც მოჰყვება გზების ჩაკეტვა და ენერგოსისტემის ავარია.
- მედეგობის ჰოლისტიკური მეტრიკა: რისკების შეფასება არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით.
- AI და ციფრული ტყუპები: ხელოვნური ინტელექტის გამოყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

შინაარსი: პროექტმა უნდა შექმნას სისტემები, რომლებიც წინასწარ ხედავენ „დომინოს პრინციპით“ განვითარებულ კატასტროფებს.

ადრეული მოქმედება: პროგნოზირებიდან სწრაფ რეაგირებაზე გადასვლა.

პლატფორმების თავსებადობა: სხვადასხვა ქვეყნისა და უწყების სისტემებმა უნდა შეძლონ მონაცემების გაცვლა.

მოწყვლადობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს გენდერი, ასაკი და შეზღუდული შესაძლებლობები.

მოქალაქეების ჩართულობა: სოციალური მედიიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენება სიტუაციის უკეთ აღსაქმელად.

პირობები

☑ IA.

💰 8 მლნ €

(2 პროექტი)

🚀 უნდა მიაღწიოს TRL 6-ს

გაითვალისწინეთ: 🧑


მინიმუმ 2 უწყება, რომელიც პასუხისმგებელია კატასტროფების რისკის ან კრიზისულ კომუნიკაციაზე.

მინიმუმ 2 წარმომადგენელი ადგილობრივი ან რეგიონული ხელისუფლებისა, რომელიც პასუხისმგებელია კატასტროფებზე რეაგირებაზე (მინიმუმ 3 სხვადასხვა ქვეყნიდან).


*კუმულაციური ეფექტი - დროთა განმავლობაში დაგროვილი და გაძლიერებული ზიანი.

HORIZON-CL3-2026-01-DRS-03: Development of innovative tools, processes, equipment and technologies through responses to disasters and emergencies for search and rescue in hazardous conditions


ინოვაციური ინსტრუმენტების, აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების შემუშავება სახიფათო პირობებში სამძებრო-სამაშველო ოპერაციებისათვის

 **მოსალოდნელი შედეგები:**



- **მოწინავე აღჭურვილობა:** ახალი ინსტრუმენტები როგორც პერსონალისთვის, ისე მძიმე ტექნიკისათვის (თვითმფრინავები, სატრანსპორტო საშუალებები).
- **რობოტიზაცია და დრონები:** ავტონომიური სისტემები, რომლებიც მუშაობენ იქ, სადაც ადამიანისთვის ყოფნა სახიფათოა (ხანძარი, ნგრევა, რადიაცია).
- **ეფექტურობის გაზრდა:** სამაშველო ოპერაციების დროის შემცირება და მაშველთა უსაფრთხოების გარანტირება.
- **ევროპული რეზერვების მხარდაჭერა:** ტექნოლოგიების თავსებადობა rescEU-ს სტრატეგიულ მარაგებთან.

 **შინაარსი:** სახიფათო პირობებში იგულისხმება ისეთი გარემო (ექსტრემალური ტემპერატურა, დაბალი ხილვადობა, არასტაბილური რელიეფი, ტოქსიკური გარემო და ა.შ.), სადაც სტანდარტული სამაშველო აღჭურვილობა ან ვერ მუშაობს, ან მაშველის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

ჭკვიანი ეკიპირება: მაშველების პირადი დაცვის საშუალებები ინტეგრირებული სენსორებით. **მძიმე აქტივების ინოვაცია:** წყალდიდობის საწინააღმდეგო სისტემები, მაღალი სიმძლავრის ტუმბოები, სახანძრო ავიაცია და გენერატორები. **მართვა და კონტროლი:** ერთიანი პლატფორმა, რომელიც კოორდინაციას უწყევს ყველა აქტივობას (ადამიანებს, დრონებს, რობოტებს). ავტონომიური ტექნოლოგიების გამოყენების ეთიკური ასპექტები და მონაცემთა კონფიდენციალურობა.

 **პირობები:**

- **IA.**
- **8 მლნ €**
- **(2 პროექტი)**
- **უნდა მიაღწიოს TRL 7-8**


 **მონაწილეები:** 


მინიმუმ 2 პრაქტიკოსი ორგანიზაცია (პირველი რეაგირების ჯგუფები) და 2 სასწრაფო სამედიცინო უწყება მინიმუმ 3 ქვეყნიდან.


rescEU არის ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმის (EU Civil Protection Mechanism) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ევროპულ სტრატეგიულ რეზერვს კატასტროფებზე რეაგირებისთვის.

HORIZON-CL3-2026-01-DRS-04: Open topic on driving innovation uptake of disaster risk solutions


ღია თემა: კატასტროფების რისკის შემცირების გადაწყვეტილებების დანერგვისა და ინოვაციების ათვისების სტიმულირება

-  **მოსალოდნელი შედეგები** პროექტმა უნდა მიაღწიოს შემდეგ მიზნებს (ან მათ ნაწილს):
 - მაღალი მზაობის (High-TRL) ტექნოლოგიების სწრაფი ათვისება სხვადასხვა სექტორში.
 - ინოვაციების ჩაშენება კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენის უკვე არსებულ ჩარჩოებში.
 - დაინტერესებულ მხარეებს შორის კავშირების გაძლიერება გადაწყვეტილებების მასშტაბირებისთვის.
 - დაბრკოლებების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა, რომლებიც ხელს უშლის ტექნოლოგიების გამოყენებას (მაგ: რეგულაციები, ფინანსები, უნარების ნაკლებობა).
 - გადაწყვეტილებების ეფექტურობის დამტკიცება რეალურ სცენარებში.
 - ევროპული კვლევების შედეგების პოპულარიზაცია საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში.

-  **შინაარსი:** პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები:
 - ა) სტრატეგიული დანერგვა და კომერციალიზაცია; სტრატეგიების შემუშავება, რომ მაღალი TRL-ის მქონე ტექნოლოგიებმა ეფექტურად მიაღწიონ საბოლოო მომხმარებლამდე.
 - ბ) მართვის მოდელები და სტანდარტები რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა სექტორის კოორდინაციას მრავალმხრივი საფრთხეების და კასკადური რისკების დროს.
 - გ) ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა პირველი რეაგირების პირებისთვის (რომლებიც საგანგებო შემთხვევის დროს პირველები მიდიან შემთხვევის ადგილზე) და მოწყვლადი მდგომარეობის მქონე პირებისთვის.

 **პირობები:**

- IA.
- € 6 მლნ
- (2 პროექტი)
- უნდა მიაღწიოს TRL 8-ს

 **მონაწილეები:**
ორგანიზაცია (მინ. 3): კატასტროფების მართვა (მაგ: სამაშველო სამსახური, შსს, მერიის კრიზისების მართვის ცენტრი).

პროექტი უნდა ეყრდნობოდეს "მზადყოფნის კავშირის სტრატეგიას" და თანამშრომლობდეს ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმთან (UCPM).

HORIZON-CL3-2026-01-DRS-05: Climate security and civil preparedness – new ways to develop pre- and post-crisis climate-change related scenarios for a more resilient Europe

კლიმატის უსაფრთხოება და სამოქალაქო მზადყოფნა – კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული კრიზისამდელი და კრიზისშემდგომი სცენარების შემუშავების ახალი გზები უფრო მედეგი ევროპისთვის

მოსალოდნელი შედეგები:

- კლიმატის უსაფრთხოების სცენარების იდენტიფიცირება: კასკადური და კომპლექსური რისკების პრიორიტეტიზაცია სხვადასხვა სექტორში.
- მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები პროგნოზირებისთვის, კრიზისების მართვისა და ადაპტაციისთვის.
- რისკების მართვის ინსტრუმენტების ვალიდაცია საოპერაციო გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში.
- კრიზისამდელი (პრევენცია) და კრიზისშემდგომი (რეაგირება) ანალიზი წყალდიდობების, ხანძრებისა და სხვა სტიქიების დროს.
- ქსელების გაძლიერება საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად.

შინაარსი:

კლიმატის ცვლილების გავლენა ეკონომიკაზე, ჯანმრთელობაზე, ბიომრავალფეროვნებასა და საზღვრების უსაფრთხოებაზე.

ყურადღება უნდა გამახვილდეს წყალდიდობებზე, მეწყერებზე, ხანძრებსა და სითბურ ტალღებზე. კასკადური ეფექტების შესწავლა ხანდაზმულების, შშმ პირებისა და ბავშვების კონტექსტში.

მონაცემთა ინტეგრაცია: გამოყენებული უნდა იყოს ევროპული კვლევითი ინფრასტრუქტურები (EOSC, Destination Earth).

პროექტი უნდა ეყრდნობოდეს ევროპის წყლის მედეგობის სტრატეგიას და „ნიინისტოს მოხსენებას“ (Niinistö report) კლიმატის უარეს სცენარებთან გამკლავების შესახებ.

პირობები:

IA.

4.5 მლნ €

(1 პროექტი)

უნდა მიაღწიოს TRL 7-8-ს

მონაწილეები:

მინიმუმ 3 სახელმწიფო უწყება, პასუხისმგებელი კატასტროფების რისკის მართვაზე.

საერთაშორისო ორგანიზაციები.

კლიმატის უსაფრთხოება-კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხეების მართვა




 **მოსალოდნელი შედეგები:**

- ახალი ტექნოლოგიების ინტეგრირება რეალურ ოპერაციებში საფრთხეების შესამცირებლად.
- ინოვაციური გადაწყვეტილებების დანერგვის დაჩქარება მკაცრი ტესტირებისა და ვალიდაციის გზით.
- მჭიდრო კავშირი საჯარო უწყებებს, ინდუსტრიასა და მკვლევარებს შორის.

 **შინაარსი:**

- ფუნდამენტური კვლევების ადრეული ეტაპიდან საოპერაციო გარემოში მათ პრაქტიკულ იმპლემენტაციამდე არსებული ტექნოლოგიური ნაპრაალის შევსება.
- პროექტმა უნდა შექმნას სტრუქტურირებული გზა დაბალი TRL-ის მქონე ინოვაციების საოპერაციო გამოყენებაში გადასატანად.
 - ტექნოლოგიები უნდა იყოს მდგრადი, სანდო, მასშტაბირებადი და პრაქტიკოსების საჭიროებებზე მორგებული.
 - ახალი ტექნოლოგიები უნდა იყოს ეთიკურად გამართული და გამჭვირვალე.
 - კვლევითი და ინოვაციური აქტივობების შესაბამისობის უზრუნველყოფა ევროკავშირის გრძელვადიანი ტექნოლოგიური პროგნოზირების ანალიზთან.

 **პირობები:**

-  RIA.
-  1.5 მლნ €
(2 პროექტი)
-  უნდა მიაღწიოს TRL 4-5-ს

 **მონაწილეები:**

მინ. 2 პრაქტიკოსი (პოლიცია, სამაშველო სამსახური, სასაზღვრო დაცვა).
მინ. 1 კვლევითი და ტექნოლოგიური ორგანიზაცია.

არსებობს შეზღუდვები ევროპული საკომუნიკაციო ქსელების დაცვის მიზნით.

HORIZON-CL3-2026-01-SSRI-04: Development of ecosystem and next-generation capabilities for a secured European Critical Communication System in civil security

სამოქალაქო უსაფრთხოებისთვის დაცული ევროპული კრიტიკული კომუნიკაციების სისტემის ეკოსისტემისა და მომავალი თაობის შესაძლებლობების განვითარება

პროექტის მიზანია შექმნას მომავალი თაობის უსაფრთხო კავშირგაბმულობის ეკოსისტემა პირველადი რეაგირების ჯგუფებისთვის (პოლიცია, სახანძრო, სასწრაფო).

მოსალოდნელი შედეგები:

- ინტეგრირებული ეკოსისტემა: მედეგი კომუნიკაციების შექმნა, რომელიც მხარს დაუჭერს სამოქალაქო უსაფრთხოების ოპერაციებს მთელ ევროპაში.
- მასშტაბირებადი და ურთიერთთავსებადი სისტემების განვითარება, რომლებიც მზად იქნება ევროკავშირის კრიტიკული კომუნიკაციების სისტემაში ინტეგრაციისთვის.

შინაარსი:

სპეციალიზებული, გამძლე მოწყობილობების შექმნა ექსტრემალური პირობებისათვის, რომლებიც მუშაობენ ხელსაწყოების გარეშე (ხმოვანი ბრძანებებით ან ჟესტებით, რომ მაშველს არ მოუწიოს რაციის ხელში ჭერა ან ეკრანზე თითის დაჭერა).

ტარებადი სენსორები (ეკიპირებაში ჩამონტაჟებული, რომლებიც ზომავს მაშველის ბიომეტრიულ მონაცემებს, გარემოს პირობებს),

შეხებითი (მაგ. თუ მაშველი კვამლში ვერაფერს ხედავს, ჩამონტაჟებული ვიბრაცია მიანიშნებს, საით უნდა შებრუნდეს) სისტემები და გაფართოებული რეალობა (AR-ვიზუალური ინფორმაციის დამატება).

კომუნიკაციის უზრუნველყოფა იქ, სადაც არ არის ფიქური კავშირი ან კომერციული ქსელის დაფარვა.

სისტემები უნდა იყოს დაცული მომავალი კვანტური კომპიუტერების მიერ შესაძლო გატეხვისგან.

პირობები:

- IA.
- 3 მლნ € (1 პროექტი)
- უნდა მიაღწიოს TRL 6-8-ს

მონაწილეები:

მინ. 3 პირველადი რეაგირების ორგანიზაცია (მაგ. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, პოლიცია).

შესაბამისობა 3GPP Mission Critical Services სტანდარტებთან

მე-3 კლასტერი: სამოქალაქო უსაფრთხოება საზოგადოებისათვის

Info Day – Horizon Europe Cluster 3

The screenshot shows the 'Cluster 3: Civil security for society' page. It includes a navigation menu with 'Home', 'Funding', 'Funding opportunities', 'Funding programmes and open calls', 'Horizon Europe', and 'Cluster 3: Civil security for society'. The main heading is 'Cluster 3: Civil security for society' with the subtitle 'Policy, strategy, how to apply and work programmes'. Under 'Page contents', there are links for 'Policy and strategy', 'Apply for funding', 'Work programmes', 'Documents', and 'Events'. The 'Policy and strategy' section states that the cluster responds to challenges from persistent security threats and lists 'Areas of intervention' such as disaster-resilient societies, protection and security, and cybersecurity.



Info days

Info day – Horizon Europe Cluster 3



Wednesday 4 March 2026, 09:00 - 17:30 (CET)

Brussels, Belgium

Live streaming available

HORIZON-CL3-2026

The screenshot shows the 'EU Funding & Tenders Portal' with a search for 'Calls for proposals'. The 'Filters' section on the left includes 'Quick search', a date range of '2021 - 2027', 'Horizon Europe (HORIZON)', 'HORIZON-CL3-2026-01', and 'Forthcoming'. The 'GRANTS RECOMMENDED FOR YOU' section shows 21 items found, with the first item being 'Reliability of age assessment methods in the context of security and border management' (HORIZON-CL3-2026-01-BM-03). The call for proposals is set to open on 05 May 2026 and close on 04 November 2026. A 'Forthcoming' badge is visible next to the item.



გმადლობთ ყურადღებისთვის!